

შესავალი

ბუნებრივ პირობებს შორის, რომელიც ხელს უწყობს დედამიწის ზედაპირზე ცოცხალი ორგანიზმების განვითარებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჰავას, რელიეფს, ჰიდროლოგიურ რეჟიმსა და მცენარეულ საფარს. ამ პირობებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნიადაგს.

ნიადაგის როლი განსაკუთრებით დიდია მემცენარეობაში. იგი მცენარისათვის წარმოადგენს სადგომს და უზრუნველყოფს წყლითა და საკვები ნივთიერებებით. მემცენარეობა ადამიანთა საზოგადოებას ამარაგებს საკვებით და მრეწველობას ნედლეულით. კაცობრიობას საკვების მოთხოვნილების 98%-ს ნიადაგი ამარაგებს, ხოლო 2%-ს მსოფლიოს ოკეანეები და ზღვები.

რაც უფრო რთული და მრავალფეროვანია გეოგრაფიული გარემო, მით უფრო რთული და ძნელია ნიადაგის შესწავლა, მისი თვისებების გაუმჯობესება და იმ კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება, რომელიც უნდა გატარდეს ტერიტორიის ათვისებისა და ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისათვის. მრავალფეროვან ლანდშაფტურ პირობებში მეტად რთულია სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება ნიადაგის თვისებების გასაუმჯობესებლად. სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ნიადაგთან ერთად საჭიროა ჰიდროთერმული რეჟიმისა და რელიეფის თავისებურებების შესწავლა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გავრცელების საფუძველს ნიადაგთან ერთად წარმოადგენს ჰიდროთერმული და რელიეფური პირობები. ნიადაგის თვისებების გასაუმჯობესებლად და კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის რიგ რაიონებში ტარდება მორწყვა, დაშრობა, ნიადაგის დამუშავების წესების გაუმჯობესება, ტერასების მოწყობა, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა და სხვა ღონისძიებანი ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

ღონისძიებებთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის წარმოქმნის პირობების, შედგენილობის, გავრცელების კანონზომიერებისა და აგროსაწარმოო თვისებების შესწავლას.